


შპს კანი
2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს კანის ფინანსური ანგარიშგება (ლარი) 2022 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
	კომ.	31.12.22	31.12.21
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები	3	41 636,63	430 205,01
მოკლევადიანი მოთხოვნები	4	66 990,58	80 219,74
მარაგები		4 845 012,48	3 510 197,00
წინასწარ გაწეული ხარჯები		-	1 368,00
		4 953 639,69	4 021 989,75
გრძელვადიანი აქტივები			
წმინდა ძირითადი საშუალებები	5	594 426,64	600 708,35
გაცემული სესხები		3 256 608,94	2 336 234,20
		3 851 035,58	2 936 942,55
		8 804 675,27	6 958 932,30
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		58 695,54	5 227,11
გადასახადები		2 629,73	-
		61 325,27	5 227,11
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები		5 631 941,08	3 152 820,00
		5 631 941,08	3 152 820,00
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		58 503,90	884 250,86
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)		3 052 905,02	2 916 634,33
		3 111 408,92	3 800 885,19
		8 804 675,27	6 958 932,30

დირექტორი

ი. კუტალია



შპს კანის ფინანსური ანგარიშგება (ლარი) 2022 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით

საქმიანობის შედეგები

	2022	2021
ამონაგები მომსახურებიდან	3 202 010,55	1 931 716,37
სხვა შემოსავლები	4 848,06	-
დასაქმებულთა ანაზღაურება	(847 146,19)	(264 747,61)
ცვეთა და ამორტიზაცია	(114 605,40)	(110 574,93)
იჯარის ხარჯი	(187 610,00)	(32 320,76)
საპროცენტო ხარჯები	(734 544,56)	(33 546,50)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(1 179 178,41)	(514 716,02)
საოპერაციო მოგება	143 774,05	975 810,55
წმინდა მოგება / (ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	(2 784,71)	10,84
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	140 989,34	975 821,39
მოგების გადასახადი	-	-
წმინდა მოგება/(ზარალი)	140 989,34	975 821,39
საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში	3 800 885,19	2 472 737,08
საწესდებო კაპიტალი ცვლილება	(825 746,96)	352 326,72
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3 116 127,57	3 800 885,19

დირექტორი

ი. კუტალია



სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს კანი (შემდგომში კომპანია) რეგისტრირებულია 2012 წლის 31 იანვარს. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, გიორგი სააკაძის დაღმართი, N11.

კომპანიის ბენეფიციარი მფლობელები არიან:

- ირაკლი კუტალია - 100%.

კომპანიის მენეჯმენტი შედგება:

- დირექტორი - ირაკლი კუტალია.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა კანის დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად და წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურებიდან აღიარდება მაშინ როდესაც მყიდველს მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში როდესაც გაწეულ იქნა.



მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.


ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

იჯარა

იჯარა, ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახადები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.



5

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები


რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.



შპს კანის ფინანსური ანგარიშგება (ლარი) 2022 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით

3. ფული და ფულადი ექვივალენტები

ფული და ფულადი ექვივალენტები	2022	2021
ნაღდი ფული	2 197,87	7 905,96
ფული ბანკში	39 438,76	422 299,05
	<u>41 636,63</u>	<u>430 205,01</u>

4. მოკლევადიანი მოთხოვნები

მოკლევადიანი მოთხოვნები	2022	2021
მოთხოვნები მომსახურებიდან	33 739,79	34 500,00
გადასახადები	3 500,79	12 078,68
გადადილი ავანსები	29 750,00	33 641,06
	<u>66 990,58</u>	<u>80 219,74</u>

5. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

	31.12.21	წმინდა ცვლილება	31.12.22
ისტორიული ღირებულება			
ოფისის აღჭურვილობა	1 070 893,92	108 323,69	1 179 217,61
სატრანსპორტო საშუალებები	42 014,45	-	42 014,45
საიჯარო ქონების კეთილმოწყობა	20 289,18	20 289,18	40 578,36
	<u>1 133 197,55</u>	<u>128 612,87</u>	<u>1 261 810,42</u>
აკუმულირებული ცვეთა			
ოფისის აღჭურვილობა	(489 792,31)	(106 202,51)	(595 994,82)
სატრანსპორტო საშუალებები	(22 407,71)	(8 402,89)	(30 810,60)
საიჯარო ქონების კეთილმოწყობა	(20 289,18)	(20 289,18)	(40 578,36)
	<u>(532 489,20)</u>	<u>(134 894,58)</u>	<u>(667 383,78)</u>
საბალანსო ღირებულება			
ოფისის აღჭურვილობა	581 101,61	2 121,18	583 222,79
სატრანსპორტო საშუალებები	19 606,74	(8 402,89)	11 203,85
საიჯარო ქონების კეთილმოწყობა	-	0,00	-
	<u>600 708,35</u>	<u>(6 281,71)</u>	<u>594 426,64</u>

